საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის „ა” მ/რ გიმნაზიის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის და ექსპერტის მიერ კონსტრუქციულ დასკვნაში გაწერილ სამუშაოებთან შესაბამისობის შესახებ.

ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის „ა” მ/რ გიმნაზიის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული დასკვნა შესრულებულია შ.პ.ს. „არტფაქსი"-ის მიერ, კონსტრუქტორი ჯ.ვაშაკიძე.

დასკვნაში ექსპერტის მიერ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

1. სახურავზე მშენებლობის პერიოდში მკაცრად უნდა იყოს დაცული შრომის უსაფრთხოების წესები.

2. უნდა მოხდეს სახურავის ბრტყელი გადახურვის დემონტაჟი.

3. შესაძლებელია შენარჩუნდეს ტექნიკური სართულის კედლები.

4. კედლებში ჩაშენდეს მონოლითური რკინაბეტონის სვეტები და მის ზედაპირზე მოეწყოს რკინაბეტონის სარტყელი ისე, რომ მოხდეს ერთმანეთთან გამონოლითება.

5. დემონტაჟის შედეგად ნაგებობის წონა შემსუბუქდება და შესაბამისად საძირკვლის გრუნტზე გადაცემული დატვირთვები შემცირდება.

6. აღნიშნულ რკინაბეტონის სარტყელზე მოეწყოს ლითონის კარკასის კონსტრუქციები (მსუბუქი კონსტრუქციები).

7. იატაკად გამოყენებულ იქნას ტექნიკური სართულის იატაკი.

9. არქიტექტურულ ნახაზებთან შესაბამისად კონსტრუქციად მიღებულ იქნას ლითონის კარკასის კონსტრუქციები (მსუბუქი კონსტრუქციები) რომლის შენობაზე დატვირთვა გაცილებით ნაკლები იქნება ვიდრე გამოწვეული რკინაბეტონის კარკასისაგან.

10. ნაგებობის სახურავის დემონტაჟისა და შემდგომ დაშენებული სართულის დატვირთვა, ინჟინრული თვალსაზრისით, არავითარ ზიანს არ მიაყენებს გვერდზე მდგომ შენობებს.

წარმოდგენილ კონსტრუქციულ დასკვნაში გათვალისწინებულა ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები, კერძოდ:

შედგენილია პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილი

კ-0 ნახაზზე, განმარტებითი ბარათში ასახულია სახურავზე მშენებლობის პერიოდში შრომის უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნები

პროეტის მიხედვით ხდება სახურავის ბრტყელი გადახურვის დემონტაჟი

პროეტის მიხედვით ხდება ტექნიკური სართულის კედლების შენარჩუნება

პროეტის მიხედვით ხდება მონოლითური რკინაბეტონის სვეტების არსებულ კედლებში ჩაშენება და სვეტებზე ეწყობა რკინაბეტონის მონოლითური სარტყელი

აღნიშნულ რკინაბეტონის სარტყელზე ეწყობა ლითონის კარკასის მსუბუქი კონსტრუქციები

იატაკად გამოყენებულია არსებული ტექნიკური სართული.

დასკვნა

ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის „ა" მ/რ გიმნაზიის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი რომელიც ატვირთულია ქალაქ თბილისი არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე №(**AR1286095**) და ექსპერტის მიერ მომზადებული კონსტრუქციული დასკვნა ერთმანეთთან შესაბამისობაშია.

ს. ტ. უ.-ს, სამშენებლო ფაკულტეტის,
ასოც. პროფესორი: **ლ. ზამბახიძე**